ენათმეცნიერება Linguistic

არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნები „ვისრამიანში“

ვიოლა ხარაბაძე
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
a-mail: Kharabadze.viola@teachers.gov.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.10
SJIF 2026: 8.679

ნაშრომი მიზნად ისახავს „ვისრამიანში“ გამოვლენილი არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნების სემანტიკური და გრამატიკული თავისებურებების შესწავლას, მათი კონტექსტური მნიშვნელობების განსაზღვრასა და თანამედროვე ქართულში შემორჩენილ ფორმებთან შედარებას. კვლევის საფუძველს წარმოადგენს 1938 წელს გამოცემული ტექსტი, რომლის ელექტრონული ვერსია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ საცავშია ხელმისაწვდომი. ენობრივი მასალა დაჯგუფებულია ზმნური ფორმებისა და მათი სემანტიკის მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ზმნებს „ძეს“, „მიდგან“, „უჩს“ და „მაქუს“. ანალიზმა აჩვენა, რომ „ძეს“ ძირითადად საგნის სივრცობრივ მდებარეობას გამოხატავს და თანამედროვე ქართულში მას შეესაბამება „დევს“, „ძევს“ ან „მდებარეობს“. ფორმა „მიდგან“ კონტექსტის მიხედვით აღნიშნავს ყოფნას, არსებობასა და სიცოცხლის შენარჩუნებას; მისი მნიშვნელობა დღეს ნაწილობრივ შენარჩუნებულია გამოთქმაში „სული მიდგას“. ზმნა „უჩს“ სუბიექტის აღქმასა და შეფასებას გადმოსცემს და თანამედროვე ქართულში „ეჩვენება“ და „მიაჩნია“ ფორმებით გამოიხატება. „მაქუს“ კი ფლობის მნიშვნელობას ინარჩუნებს, როგორც კონკრეტულ საგნებთან, ისე აბსტრაქტულ ცნებებთან მიმართებით, თანამედროვე ფორმით „მაქვს“. კვლევა ცხადყოფს, რომ არქაიზაცია ყოველთვის არ გულისხმობს სემანტიკური მნიშვნელობის გაქრობას: ზოგი ფორმა მცირედი ფონეტიკური ან მორფოლოგიური ცვლილებით შემორჩა, ზოგის ფუნქცია კი სხვა ლექსიკურმა ერთეულებმა გადაიბარეს. შესაბამისად, ძველი ქართული ტექსტების შესწავლისას არსებითია ზმნური ფორმების კონტექსტური ანალიზი და მათი ისტორიულ-შედარებითი განხილვა. ფორმათა შესწავლა წარმოაჩენს სტატიკურობის სემანტიკურ მრავალფეროვნებას და ადასტურებს, რომ ერთი ზმნური ფორმის ფუნქცია მხოლოდ

ლექსიკური მნიშვნელობით ვერ განისაზღვრება. მასზე გავლენას ახდენს სინტაქსური ფუნქცია და ტექსტის შინაარსი.

საკვანძო სიტყვები: ზმნური არქაიზმი, „ვისრამიანი“, სტატიკური ზმნა

სტატიკური ზმნების კვლევას დიდი როლი აქვს ქართული ენის ისტორიული განვითარების კანონზომიერებების გამოვლენისა და გააზრებისთვის. ამ სახის ზმნები მიუთითებს საგნის მდგომარეობაზე, არსებობაზე, კუთვნილებაზე, სივრცობრივ მდებარეობასა, ან სუბიექტის მიმართ რაიმე ვითარებისა თუ ნიშნის არსებობაზე. ლელი ბარამიძე აღნიშნავს, სტატიკური ვნებითის ცალკე გამოყოფა მიზანშეუწონლად არის მიჩნეული **(ბარამიძე, 1998:125).** ხოლო ა. შანიძის აზრით, „ძნელია ზღვარის გავლება მედიოპასივსა და სტატიკურ ზმნებს შორის“, რომ გრამატიკული მნიშვნელობის მხრივ არ არის არავითარი განსხვავება მათ შორის“, მაგრამ სტატიკური ზმნების საშუალ გვარ-თან ერთად ერთ ჯგუფში მოქცევა მაინც შეუძლებლად მიაჩნია, რადგან მაშინ საშუალ გვარში გაერთიანდებოდა სულ სხვადასხვა ტიპის ზმნები, რომლებიც სხვადასხვა-გვარად იკეთებენ მწკრივის ფორმებს **(შანიძე, 1973: 116).** „დინამიკური და სტატიკური ზმნები ქართული ზმნების ერთ-ერთი ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია. ამ დებულებით ქართული ზმნები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დინამიკურ და სტატიკურ ზმნებად. დინამიკური ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალიც და გარდა-უვალიც, სტატიკური - გარდაუვალი“- აღნიშნავს ბესარიონ ჯორბენაძე **(ჯორბენაძე,1975:15).**

ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში უხვად გვხვდება სტატიკური ზმნები, რომლებიც თანამედროვე ქართულში აღარ გამოიყენება, შენარჩუნდა შეცვლილი სახით, ან მხოლოდ განსაზღვრულ კონტექსტში აქვს თავდაპირველი, არქაული მნიშვნელობა.

„ვისრამიანი“ ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს სტატიკური ზმნების სემანტიკურ და გრამატიკულ თავისებურებებს. XI საუკუნის სპარსელი პოეტის, ფახრ-ა-დინ ასად გორგანის სამიჯნურო პოემის „ვის ო რამინის“ პროზაული თარგმანი - „ვისრამიანი“ შუა საუკუნეების ქართული მწერლობის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, სპარსულიდან ნაწარმოები თარგმნა სარგის თმოგველმა.

„ვისრამიანი“ საინტერესო და მრავალფეროვან ენობრივ მასალას იძლევა სტატიკური ზმნების ისტორიულ ფორმებსა და მათ ფუნქციებზე. ნაწარმოებში ყურადღებას იქცევს არქაული სტატიკური ზმნები, რომლებიც ახასიათებდა ძველ ქართულს, აგრეთვე, ზმნები, რომელთა შინაარსიც თანამედროვე ქართულ ენაში სხვა ლექსიკური ერთეულებით გამოიხატება. ტექსტში

სტატიკური ზმნები გამოყენებულია სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობით, მათ შორის სივრცობრივი მდებარეობის, კუთვნილების, სუბიექტის აღქმა/შეფასების გადმოსაცემად.

„ვისრამიანის“ ტექსტი გამოიცა 5-გზის, 1884, 1938, 1960, 1962 და 1964 წლებში. ბოლო გამოცემები ნაკლებადაა ხელმისაწვდომი. ამიტომ ჩვენ ვეყრდნობით 1938 წლის (მეორე) გამოცემას, რომლის ელექტრონული ვერსიაც ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ვერსიაში „ივერიელი“.

არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნების ანალიზისას ენობრივი მასალა დაჯგუფდა ზმნური ფორმებისა და მათი კონტექსტური მნიშვნელობების შესაბამისად. რამაც შესაძლებელი გახადა ფორმის არქაულობის, ლექსიკური ერთეულის შენარჩუ-ნებისა და მისი სემანტიკური მნიშვნელობის შესაძლო ცვლილების დადგენა.

ზმნა „ძეს“: „ძეს“ გამოხატავს საგნის სივრცობრივ მდგომარეობას:

„ნახე თქუენითა ბეჭდითა დაბეჭდული კარი დაკლიტული; ერთისა წელიწადისა მტუერი ***ზედა ძეს“*** *(1938, 147).*

„ჩემი გული წყალსა შიგან რვალივითაა და ***შეუძრავად ძეს*** *სიყუარულისა ხანიერობისათუის“ (1938, 210).*

ამ კონტექსტში „ძეს“ მიუთითებს სტატიკურობის ერთ-ერთ სემანტიკურ სახეზე, სივრცობრივ მდგომარეობაზე, საგნის, ობიექტის მდებარეობის ადგილზე, სტატიკურ ვითარებაზე. თანამედროვე ქართულში მისი ლექსიკური შესატყვისია „დევს“. ამასთანავე, კონტექსტის გათვალისწინებით, თანამედროვე ქართულში შესაძლებელია სხვა ვარიანტიც იყოს შემუშავებული, მაგალითად, „მდებარეობს“ ან სხვა ფორმით წარმოდგენილი შესაბამისი ზმნა. ეს მეტყველებს არა მნიშვნელობის სრულ დაკარგვაზე, არამედ მისი გამოხატვის საშუალებების ისტორიულ ცვლილებაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე გამოიყენება მისი ოდნავ შეცვლილი ვარიანტი „ძევს“. მათემატიკაში: „C წერტილი ძევს A და B წერტილებს შორის“. ამდენად, „ძეს“ სტატიკური მნიშვნელობის ზმნაა, რომლის ფუნქციაა ობიექტის მდებარეობის წარმოჩენა. თანამედროვე ქართულში მისი შესატყვისებია: „დევს“, „ძევს“, „მდებარეობს“.

ზმნა „მიდგან“. „ვისრამიანში“ გამოყენებული არქაული სტატიკური ზმნაა „მიდგან“, რომელიც დღეს არ გამოიყენება. მისი მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით სხვადასხვაგვარია.

„მე სამნი გრძეულნი ***შინ მიდგან,*** *რომელ თუითო მათგანი ეშმათა ლაშქარს მოერევის გრძნეულობითა“* ***(1938, 132).***

ამ წინადადებაში „მიდგან“ გამოხატავს მოქმედების ობიექტის არსებობას, ყოფნას მოსაუბრის სახლში, მის სივრცეში ან განკარგულებაში, ან სიცოცხლის შენარჩუნებასაც კი. თანამედროვე ქართულით წინადადების აზრი ასეთია: „სამი გრძნეული ჩემთან სახლში არის“, ან

„სამი გრძნეული ჩემს სახლში იმყოფება“, ან შეიძლება ნიშნავდეს იმასაც, რომ „შინ სამი გრძნეული მყავს“. აქ გადამწყვეტია ის, თუ რას ესმევა ხაზი, ობიექტის სივრცობრივ მდებარეობას, ყოფნას თუ მოსაუბრის მიმართ პირების კუთვნილებას.

„მიდგან“ სტატიკური ზმნის თანამედროვე შესატყვისების მრავალფეროვნებას უსვამს ხაზს „ვისრამიანი“ შემდეგი მაგალითი:

*„მე ვირე **სულნი მიდგან,** შენსა და ჩემსა საკუთრობასა არ გარდავსწყუედ“ (1938, 180).*

*„მე, ვიდრე **სულნი მიდგან,** შენ ვერ გაგწირავ“ **(1938,69).***

*„მე ესე სიხარული, ვირე **სულნი მიდგან,** ღმრთისა წყალობად მეყოფის“ (1938, 84).*

ამ წინადადებებში „მიდგან“, „მედგნენ“ გამოყენებულია სიცოცხლის შენარჩუნების მნიშვნელობით. „ვირე სულნი მიდგან“, ე.ი. „სანამ ცოცხალი ვარ“, „სანამ სული მიდგას“. „მიდგან“ შეიძლება მიუთითებდეს ობიექტის ყოფნასა და არსებობაზე და მეორე მხრივ - სიცოცხლის შენარჩუნებაზეც. ეს ნიშნავს, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულ კონკრეტულობას იძენს. „მიდგან“ სტატიკური ზმნის კონკრეტულ მნიშვნელობას განსაზღვრავს წინადადების შინაარსი.

თანამედროვე ქართულში „მიდგან“ სტატიკური ზმნის ყველა მნიშვნელობა არ დაკარგულა, არ განუცდია სრული არქაიზაცია. ის მცირე ცვლილებით შენარჩუნებულია, როცა სიცოცხლის გაგრძელებაზეა საუბარი. მაგალითად: „სული მიდგას“ „სულნი მიდგან“ სიტყვათა შეთანხმების სემანტიკურ გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს.

ზმნა „უჩს“. „ვისრამიანში“ არქაული სტატიკური ზმნა „უჩს“ გამოყენებულია აღქმის, შეფასების, შთაბეჭდილების მნიშვნელობით.

*„ჩინეთს ქვაზედა სწერია, ვითა: მიჯნურთა ჯოჯოხეთი **სამოთხედ უჩს“** (1938, გვ. 110).*

*„მიჯნური მთრვალსა ჰგავს, რომელ, რა კაცსა ეთროს, ჭირი და ლხინი ყუელა **სწორად უჩს“** (1938, გვ. 110).*

პირველ შემთხვევაში „უჩს“ აღნიშნავს იმას, რომ შეყვარებულ ადამიანებს ტანჯვა სამოთხედ ეჩვენება. აქ საუბარია მიჯნურის მიერ განსაზღვრული ვითარების აღქმაზე. მეორე წინადადებაში არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნა „უჩს“ მიუთითებს ვითარებების თანაბრად აღქმაზე, რომ მიჯნური ჰგავს მთვრალ ადამიანს, რომელსაც ჭირი და ლხინი ერთნაირ მდგომარეობებად მიაჩნია. ამ კონტექსტში საყურადღებოა მონაკვეთები:

*„გზისა სიგრძე მოკლედ, და კუშტი ლომი **მელად უჩს.** მიჯნურობისა სიხრზე ასე გაჰკდის, რომელ უნაყოფო მინდორი ვენაჯად, მთა **მთად უჩს** და ზღუა რუდ“ (1938,141).*

*„მინდორი **ვენაჯად უჩს,** თოვლი წალკოტად“ (1938, 110).*

*„რაზომიცა სისხლი ქმნილა, მას საუკუნოსა ყუელა შენ გეკითხუის, და თუ, **რა უჩს,** ეშმა შენდა არ მორეულა... (1938, 34).*

*„საწუთროსა ლხინი **აღარად მიჩს,** მიჯნურობასა წინათ ძლიერი ვიყავ..“ (1938, 114).*

*„იგი წალკოტი **ჯოჯოხეთად უჩნდა“** (1938, 158).*

„უჩს“ სტატიკური ზმნის თანამედროვე შესატყვისებია „მიაჩნია“, „ეჩვენება“, „აღიქვამს“. ამასთანავე, ყველა შემთხვევაში არაა შენარჩუნებული სემანტიკური იგივეობა. „ეჩვენება“ უშუალო შთაბეჭდილებაზე მეტყველებს, როცა „მიაჩნია“ შეფასებაზე, განსჯაზე მიუთითებს.

„უჩს“ ზმნა გამოირჩევა სემანტიკური მნიშვნელობით, რამდენადაც დაკავშირე-ბულია ადამიანის შინაგან სამყაროსთან, აღქმებთან. სტატიკურობა აქ ვლინდება არა მხოლოდ ფიზიკური მდგომარეობით, არამედ სუბიექტის შინაგანი აღქმისა და შეფასების სახითაც. სუბიექტი აფასებს განსაზღვრულ ვითარებას. ზემოთგანხილულ ორ წინადა-დებაში ზმნა „უჩს“ გამოყენებულია მხატვრული დატვირთვითაც. ერთ წინადადებაში ჯოჯოხეთი აღქმულია სამოთხედ, მეორე წინადადებაში ჭირი და ლხინი გათანაბრებუ-ლია ერთმანეთთან, რაც სიყვარულის ემოციურ ძალაზე მიუთითებს. „უჩს“ სტატიკური ზმნა თანამედროვე ქართულში არ გამოიყენება, თუმცა მისი სემანტიკური მნიშვნელობები გადმოიცემა სიტყვებით „მიაჩნია“, „ეჩვენება“.

ზმნა „მაქუს“. არქაულ სტატიკურ ზმნებს შორის „ვისრამიანში“ საყურადღებოა „მაქუს“, რომელიც აღნიშნავს ფლობას, ქონას, პირის განკარგულებაში არსებობას.

*„ვირე **ვარდი მაქუს,** იასა არ უსუნებ; ვირე მთუარეა, მასკულავთა სინათლესა არ შევეპოებიო “ (1938, გვ. 187).*

მოცემულ წინადადებაში „მაქუს“ მიუთითებს ობიექტის (ვარდის) ფლობაზე. თანამედროვე ქართულში მას შეესაბამება ფონეტიკურად შეცვლილი ფორმა „მაქვს“, სემანტიკური მნიშვნელობა შენარჩუნებულია, ეს ზმნა ავლენს სემანტიკურ მდგრადობას. „მაქუს“ სტატიკური ზმნა შეიძლება გადმოსცემდეს აბსტაქტული ცნების, გრძნობების ქონასაც:

*„თუცა საწუთროსაგან სნეული ვარ, მისისავე მკურნალობისაგან **მაქუს იმედი“** (1938, გვ 180).*

*„ეგრე ეგრე არის, მაგრა ჩემისა გედისაგან **იმედი არა მაქუს“** (1938, 180).*

*„აზომ უმეცარი ხარ, რომელ ყოვლისა კაცისაგან ცარიელი დარჩომილ ხარ და არცა ესე იცი, თუ ნაცუალი **რა გაქუს“** (1938, 228).*

*რა **სიამე აქუს** ესეთსა ყოფნასა, რომელ ცრემლთაგან მიწყით წყალსა შიგან ვიყო და შენ ცეცხლსა? (1938, 230).*

ამ წინადადებებში ფლობის საგანია არა ფიზიკური ობიექტი, არამედ აბსტრაქტული მდგომარეობა, იმედი, შიში, მთქმელის შინაგანი განცდა. ეს მაგალითები ადასტურებს, რომ ფლობის სემანტიკური მნიშვნელობა ფართოა და მოიცავს როგორც ფიზიკურად კონკრეტულ, ხელშესახებ საგნებს, ისე ზოგად, განყენებულ ცნებებსაც.

„ვისრამიანის“ დადასტურებული არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნების ანალიზი ცხადყოფს მათ სემანტიკურ მრავალფეროვნებას. აღნიშნული ტიპის სტატიკური ზმნებით შეიძლება გამოიხატოს პირის, საგნის არსებობა, ყოფნა, სივრცეში მდებარეობა, ფლობა, სიცოცხლის შენარჩუნება, სუბიექტური აღქმა. ამიტომაც არქაიზმად ქცეული სტატიკური ზმნები უნდა გაანალიზდეს კონტექსტის გათვალისწინებით. ერთი და იმავე არქაულ სტატიკურ ზმნას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სემანტიკური მნიშვნელობა და თანამედროვე შესატყვისი.

„ვისრამიანის“ ტექსტი მნიშვნელოვან მასალას იძლევა სტატიკურ ზმნათა ისტორიის შესწავლისთვის.

ლიტერატურა:

1. აბულაძე, 1973: აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი. 1973.
2. ბარამიძე, 2008: ბარამიძე ლელი, „ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2008.
3. დათუკიშვილი, 1996: დათუკიშვილი ქეთევან, „ვნებითის ყალიბის მქონე სტატიკური ფორმები ქართულში“, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ.V, თბილისი.1996.
4. დანელია, 1996: დანელია ნანა, „უნიშნო ვნებითის მწკრივთა წარმოების ზოგი საკითხისათვის საშუალ ქართულში“, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ.V, 1996.
5. ვისრამიანი, 1938: რომანი. ალ. ბარამიძის, პ.ინგოროყვას, კ. კეკელიძის რედაქციითა და შესავალი წერილით. ლექსიკონი ი. აბულაძისა. მეორე გამოცემა. ტფილისი: სახელგამი, ძველი ქართული მხატვრული მწერლობა, 420 გვ. 1938.
6. იმნიშვილი,1996: იმნაიშვილი ივანე, იმნაიშვილი ვახტანგ, „ზმნა ძველ ქართულში“, ნაწილი I, მაინის ფრანკფურტი. 1996.
7. საღინაძე, 2008: საღინაძე რუსუდან, „ძველი ქართული ენა“ (V-XI საუკუნეები), თბილისი. 2008.
8. სუხიშვილი,1976: სუხიშვილი მურმან, სტატიკური ზმნები ქართულში, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი.1976.

Viola Kharabadze

Batumi Shota Rustaveli State University
Georgia
a-mail: Kharabadze.viola@teachers.gov.ge
https://doi.org/10.52340/lac.2026.36.10
SJIF 2026: 8.679

Stative Verbs that Have Become Archaisms in "Visramiani"

Abstract

The article examines stative verbs that have become archaisms in the Georgian text „Visramiani". It identifies their contextual meanings and compares their functions with forms used in modern Georgian. The study is based on the 1938 edition of „Visramiani", available digitally through the National Parliamentary Library of Georgia. The material is classified according to verbal forms and contextual functions, with attention given to „ძეს", „მიდგან", „უჩს" and „მაქუს". The analysis shows that „ძეს" expresses an object's spatial position and corresponds to modern Georgian „დევს", „ძევს" or „მდებარეობს". Depending on context, „მიდგან" denotes presence, existence, or the continuation of life; part of its meaning survives in the expression „სული მიდგას" ("I am alive"). The verb „უჩს" conveys a subject's perception or evaluation and is expressed by equivalents meaning "seems" or "considers". The form „მაქუს" retains the meaning of possession, referring to concrete objects and abstract notions, and corresponds to modern „მაქვს". The findings demonstrate that archaization does not necessarily entail semantic loss. Some forms have survived with phonetic or morphological changes, whereas other functions are conveyed by lexical items. The study highlights the importance of contextual analysis and historical comparison for understanding stative verbs and the development of Georgian grammar.

Keywords: verbal archaisms,"Visramiani", stative verb

რეცენზენტი: პროფესორი თამარ ლომთაძე